

შპს „ევრო სტანდარტ მოტორსი“

ფინანსური ანგარიშგება
2024 წელი

ქ.თბილისი

20,08,2025 წელი

შინაარსი:


1. პასუხისმგებლობა და ხელმძღვანელობის ანგარიში-- 2
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება --3
3. სრული შემოსავლის ანგარიშგება --- 4
4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება-- 5
5. ზოგადი ინფორმაცია -- 6
6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა --- 6
7. ფული და ფულადი ეკვივალენტები -- 6
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -- 7
9. მარაგები --7
10. ძირითადი საშუალებები -- 7
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები -- 8
12. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება -- 8
13. იჯარა -- 8
14. დაბეგვრა -- 8
15. კაპიტალი -- 9
16. რისკების მართვა -- 9
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები -- 9

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია შპს „ევრო სტანდარტ მოტორსის“ ბუღალტრის ალისა ვაშაკიძის მიერ და სამართლიანად ასახავს შპს „ევრო სტანდარტ მოტორსის“ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას“, „სრული შემოსავლის ანგარიშგებას“ და „ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას“, ასევე, შესაბამისი პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე, შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის, ან შეცდომების შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს; აგრეთვე ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევა/დანერგვას და დასაბუთებული პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაციის შედგენას და შეფასებას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2025 წლის 20 აგვისტოს.



დირექტორი

ბექა დეისაძე

20.08.2025 წელი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	159525	74074
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	86659	588631
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	382827	0
მარაგები	1788002	1683455
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	1788002	1683455
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	1956048	2476602
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	4373061	4822762
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	9529	8282
ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გამომუშავებული შემოსავალი	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1325017	1504259
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	958455	1338779
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	95500	0
სულ ვალდებულებები	2388501	2851320
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1984560	1971442
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1984560	1971442
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4373061	4822762
სულ მოკლევადიანი აქტივები	2034186	1809561
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	9529	967867

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

ნეტო ამონაგები

საქონლის გაყიდვიდან
მომსახურების გაწევიდან
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან
სხვა

გაყიდვების თვითღირებულება
საწყისი მარაგები
მარაგების შესყიდვა
გადამუშავების დანახარჯები
საბოლოო მარაგები
საერთო მოგება
სხვა საოპერაციო შემოსავალი

დასაქმებულთა ანაზღაურება
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი
საპროცენტო შემოსავალი
საპროცენტო ხარჯი
იჯარის ხარჯი
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

სულ საოპერაციო ხარჯები
საოპერაციო მოგება

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან
მიღებული დივიდენდები
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე
განგრძობითი ოპერაციებიდან
მოგების გადასახადის ხარჯი
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)
გადაფასების რეზერვი
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ
გადასახდელიანი პროგრამები)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის
გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის
გაზრდა')
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში
კაპიტალის სხვა ცვლილებები

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

31/12/ 2024	31/12/ 2023
162859	135794
4	3
155006	126137
7	3
78527	57517
0	0
0	39053
-	-
119121	-
9	892850
0	0
0	0
0	0
0	0
437375	465093
0	0
-	-
156484	157991
-48684	-45341
0	0
-85227	-83324
0	0
-82995	-43941
-	-
373390	330597
63985	134496
0	0
0	0
0	0
0	0
0	0
-50867	-27696
13118	106800
0	0
13118	106800
0	0
0	0
13118	106800
197144	186464
2	2
0	0
0	0
0	0
0	0
198456	197144
0	2

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022 4	31/12/2021 3
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	491183	1610827
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	370441	-841387
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-725306	-726583
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	136318	42857
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-50867	-64408
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	74074	95625
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	159525	74074

Handwritten signature

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ევრო სტანდარტ მოტორსი“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2012 წლის 22 მაისს. აქტიური საქმიანობა დაიწყო იმავე პერიოდში. კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს ავტოსატარაშის ნაწილების იმპორტი / რეალიზაცია და ავტოტექნომოსახურება.

კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორი არის ბექა დეისაძე პ#60001055619; კომპანიის იურიდიული მისამართია : საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდმის მას., V კვ., კორ. 9, ბ. 1.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

. მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსსფას) შესაბამისად.

. ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.

. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს.

. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში სადაც ფუნქციონირებს კომპანია -- ქართული ლარი.

კომპანიას იმპორტის საშუალებით შემოაქვს მეორადი ავტოსატარაშის ნაწილები და ავტოსატარაშის საშუალებები. ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაცია ხდება როგორც იურიდიულ პირებზე, ასევე ფიზიკურ პირებზე. კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილი არის ქ.თბილისში, თემქა, მუხიანის რადიოქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნული ტერიტორია არის კომპანიის საკუთრებაში, სადაც განთავსებულია საოფისე ფართი, სასაწყობო ფართი და ავტოსერვისი.

დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა 2024 წელს არის 13 თანამშრომელი.

3. ფულადი სახსრები, ფინანსური აქტივები

- . ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში და მიმდინარე ანგარიშებზე არსებულს ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.
- . უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსით, წლის ბოლოსთვის. დოლარი: 2,8068; ევრო - 2,9306; ფუნტი - 3,5349.
- . კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.
- . ფინანსური აქტივები აღიარდება და აღირიცხება რეალური ღირებულებით, რისი მტკიცებულებაცაა გარიგების ფასი.

4. სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

- . სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ მიუღებელი თანხებისაგან, რომელიც კომპანიამ მიაწოდა კლიენტებს საქონლის ან მომსახურების სახით და აღიარა შემოსავლად.
- . გადახდილი ავანსები ძირითადად მოიცავს უცხოელი მომწოდებლებისათვის წინასწარ გადახდილ თანხებს, რაც მომავალში მისაღები საქონლით და მომსახურებითაა იდენტიფიცირებული.

5. მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო თანხას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს და იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს გადასაყიდად განკუთვნილ სასაქონლო მატერიალურ მარაგებს, კერძოდ, ავტოსათადარიგო ნაწილებს. მისი ძირითადი ნაწილი მიიღება იმპორტის გზით. საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად,

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ასევე, მეორად ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომელიც წარმოდგენილია ძირითადად გადაჭრილ მდგომარეობაში, ხდება დაშლა, წარმოებულ ახალ სასაქონლო მარაგებზე თვითღირებულების გადანაწილება განისაზღვრება დირექტორატის გადაწყვეტილებით. საქონლის დაშლა, რემონტი, ჩამოწერა, ჯართად აღიარება და სხვა მსგავსი პროცედურები დასაბუთებულია შესაბამისი აქტებით.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს ნასყიდობის დანახარჯს და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება დირექტორატის მიერ და არ იცვლება მთელი მომსახურების პერიოდზე. ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივების ნარჩენი ღირებულების და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება. სასარგებლო ვადის ამოწურვის შემდგომ ხდება ძირითადი საშუალების ლიკვიდაცია და

ჩამოწერა.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში, ან თუ არ არის სარგებლის მიღება შესაძლებელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა, ან ზარალი, აღიარდება პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები ძირითადად წარმოდგენილია: მიწის ნაკვეთის, შენობა-ნაგებობის, მანქანა-დანადგარების, ოფისის აღჭურვილობის, საოფისე ავეჯი და ინვენტარის, სატრანსპორტო საშუალებების და იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობისაგან.

პერიოდულად, ძირითად საშუალებებზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოები და გახარჯული მარაგები, რაც არ წარმოადგენდა კაპიტალურ რემონტს, მიეკუთვნა პერიოდის რემონტის დანახარჯებს.

არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივის სახით კომპანიას გააჩნია საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფა.

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში, მოწოდებული საქონლისა და მომსახურების შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

ვალდებულებებში.31.12.2024-ის მდგომარეობით სასესხო ვალდებულებები არის გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები.

8. შემოსავლების და ხარჯების აღიარება

ფინანსურ აღრიცხვაში შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით, დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავალი იზომება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. კომპანიისათვის საოპერაციო შემოსავალი მიიღება საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურებიდან.

ხარჯების აღრიცხვა, ისევე როგორც შემოსავლის, ხდება დარიცხვის მეთოდით, იმ მომენტში, როდესაც კომპანიას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, იჯარის, ცვთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯებს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

კომპანიისთვის ძირითადი შემოსავალი მიიღება საქონლის რეალიზაციიდან და აღიარება ხდება როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს.

9. იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე -- იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ იჯარად და საიჯარო გადასახდელი, ხელშეკრულების საფუძველზე, აღიარდება პერიოდის ხარჯად.

10. დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება საოპერაციო გადასახადებით, რომლებზეც წარდგენილია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციები.

11. კაპიტალი

კაპიტალში აისახება მიმდინარე და წინა წლების მოგება/ზარალი.

12. რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი, ლიკვიდურობის რისკი, სავალუტო რისკი, საკრედიტო რისკი.

რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დროულად დაუფარაობის შემთხვევაში.

პერიოდულად მენეჯმენტის რგოლის მიერ ხდება საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების გადახედვა, მომსახურების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით.

13. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო მოვლენები რომლებიც არ ცვლის ფინანსურ მდგომარეობას, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება შენიშვნის სახით.

აღნიშნულ პერიოდში კომპანიას არ ჰქონია არსებითი, ბალანსის შემდგომი მოვლენა, რომელიც გავლენას იქონიებდა 2024 წლის ანგარიშგებაზე.